საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3594/01
13/04/2021

3594-01-2-202104131127

შპს „გგ კომპანის“
მის: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. N139,ბინა 8
ელ. ფოსტა: diana@as.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 2 აპრილის N5856 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება თიანეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხევსურთსოფელში სამელიორაციო სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, კერძოდ:

- ინფორმაცია მდინარე აძეძის ჰიდროლოგიის და აძეძის წყლის ხარჯის შიდაწლიური გადანაწილების შესახებ წყალაღების კვეთში;
- ინფორმაცია მდინარე აძეძზე სხვა წყალმომხმარებლების შესახებ;
- ინფორმაცია სატუმბი დანადგარიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე მანძილის შესახებ;
- ინფორმაცია სამელიორაციო სისტემის მოწყობის სამუშაოების ხანგრძლივობისა (სამუშაო რეჟიმი) და დასაქმებული ადამიანების რაოდენობის შესახებ;
- ელექტრო ტუმბოს ელექტროენერგიით მომარაგების საკითხი;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, ნაკვეთიდან მდინარე აძეძამდე მანძილი 17.5 მ, ხოლო მილსადენის ტრასის სიგრძე 370 მეტრს შეადგენს. ამასთან, აღნიშნულია, რომ მდინარიდან რეზერვუარამდე წყლის მიწოდება მოხდება მიწისქვეშ განთავსებული მილის მეშვეობით. სკრინინგის განცხადებაში მოცემული სქემის (რუკა #2. ნაკვეთის გეგმარება) თანახმად, რეზერვუარი განთავსდება წყალაღების წერტილის სიახლოვეს (370 მეტრზე ნაკლებ მანძილზე), შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს მილის სიგრძე.

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე